კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Management
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	დოქტორანტურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	მენეჯმნეტის დოქტორი, 0413
ინგლისურად:	PhD of Management, 0413
პროგრამის დამტკიცების თარიღი	25.09.2018
პროგრამის განახლების თარიღი	22.03.2024 01/01-17
პროგრამის ხელმძღვანელი/	ეკატერინე ნაცვლიშვლი დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი +995 599 756 614 enatsvlishvili@cu.edu.ge
თანახელმძღვანელი	ბორის ლეჟავა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი +559 599 55 35 07 blezhava@cu.edu.ge

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი). მაქსიმალური ხანგრძლივობაა 5 წელი (10 სემესტრი). მარკეტინგის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისა (60 ECTS კრედიტი) და კვლევითი კომპონენტისგან, რომელიც მოიცავს არანაკლებ 2 წელს (4 აკადემიური სემესტრი).
სასწავლო პროცესი აგებულია სემესტრული პრინციპით. თითოეული სასწავლო კურსი/სემინარი გრძელდება ერთი სემესტრი. სემესტრი შედგება კალენდარული კვირებისაგან.
1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 სასწავლო საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს

(ლექციები, სემინარები, გამოცდები და ა.შ.) ასევე დამოუკიდებელ სასწავლო საათებს.
სასწავლო კომპონენტის 60 ECTS-დან:

- 34 ECTS კრედიტი სავალდებულო სემინარებისა და მეთოდოლოგიური კურსებისთვის
- 6 ECTS კრედიტი - არჩევით სემინარებს (სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი არჩევითი სემინარი)
- 20 ECTS კრედიტი - სავალდებულო სწავლება-ასისტირების მოდული.

კვლევის კომპონენტი მოიცავს დისერტაციას. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტი ვალდებულია:

- მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციაში სადისერტაციო თემატიკის მიმართულებით;
- დოქტორანტი ვალდებულია არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატია გამოქვეყნოს (ან გამოქვეყნების შესახებ თანხმობა ქონდეს). მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს სფეროს სპეციფიკის შესაბამის უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში. გამოქვეყნებული სტატიები თემატურად დაკავშირებული უნდა იყოს დისერტაციის თემასთან.
- კვლევის კომპონენტზე რეგისტრაციის შემდეგ დოქტორანტი ვალდებულია ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ წინასწარ განსაზღვრული ფორმების მიხედვით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. აპლიკანტს დასრულებული უნდა ჰქონდეს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

✓ დიპლომის დანართის/ნიშნების ფურცლის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

✓ მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან

✓ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სხვა შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია ჩააბაროს ბიზნესის სკოლის B2 დონის მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში;

✓ კანდიდატის კვლევით ინტერესებთან თანმხვედრი კვლევითი თეზისი ინგლისურ ენაზე;

✓ შესაბამის სფეროში წინარე პუბლიკაციები ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

✓ ორი სარეკომენდაციო წერილი ინგლისურ ენაზე;

✓ რეზიუმე (CV) ქართულ და ინგლისურ ენაზე.

✓ კონკურსანტი ვალდებულია ჩააბაროს ბიზნესის სკოლის მისაღები გამოცდა მათემატიკაში.

✓ კავკასიის ბიზნესის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა.

* მიღების ვადები და პირობები მტკიცდება მიმღები კომისიის მიერ და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	დღევანდელი გლობალური გარემოს მზარდი ზემოქმედების პირობებში, ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციული პროცესების მაღალკვალიფიციურად წარმართვა თანამედროვე ორგანიზაციული მენეჯმენტის შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს ამ შესაძლებლობების გამოვლენა-შექმნას, მათ შორის, ახალი კონცეპტუალური ხედვებისა თუ ინსტრუმენტების შემუშავების გზით. მენეჯმენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე კომპანიების მხრიდან მზარდი მოთხოვნა ისეთ სპეციალისტებზე, რომლებსაც, უახლეს თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ გლობალურ ორგანიზაციულ მენეჯმენტში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის უნარი, შეუძლიათ გამოწვევების დროულად და სწორად იდენტიფიცირება, პრობლემების კვლევა და მისი გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიება; ამასთან, გაცნობერებული აქვთ მკვლევარის ეთიკური პასუხისმგებლობა და ინოვაციური/ორიგინალური სამეცნიერო კვლევების ეთიკური თუ სოციალური შედეგები. მენეჯმენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში გამჭოლადაა ასახული კავკასიის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე ბიზნესის სკოლის ძირითადი მიზნები და ამოცანები. პროგრამაში გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამების წარმატებული გამოცდილება, ასევე, თანამედროვე ორგანიზაციული მენეჯმენტის - როგორც კვლევის სფეროს -განვითარების ტენდენციები. მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის მიზანია: • კვალიფიციური მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს; • გამოიყენოს თანამედროვე ორგანიზაციული თეორიების ცოდნა და კვლევის მეთოდოლოგია ორგანიზაციული მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევის და/ან ორგანიზაციული ლიდერობის პრობლემების კვლევისა და გადაწყვეტისათვის; დამოუკიდებლად დაგეგმოს და ჩაატაროს ორიგინალური კვლევა რელევანტური მეთოდების გამოყენებითა და სარწმუნო მონაცემებზე დაყრდნობით; • კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ჩამოაყალიბოს ორიგინალური დასკვნები და შეიმუშავოს თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის ახალი შესაძლებლობების თაობაზე. • ახალი ცოდნის შექმნასთან ერთად სადოქტორო პროგრამის მიზანია, დოქტორანტი დაეუფლოს სწავლების საუკეთესო მეთოდებსა და ცოდნის გადაცემის უნარ-ჩვევებს. • პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გააჩნდეს აკადემიური ეთიკის ნორმები და საერთაშორისო დონეზე მოახდინოს საკუთარი თავის ინტეგრირება აკადემიური საზოგადოების სხვადასხვა ასპარეზზე.

პროგრამის სწავლის შედეგები	მენეჯმენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა და უნარების, რომლის საფუძველზეც **ცოდნა და გაცნობიერება** 1. ორგანიზაციული მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე კონცეფციების / მოდელების / უახლესი კვლევების თუ მიღწევების კომპლექსური გააზრებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გამოკვეთს აქტუალურ საკითხებს, დარგის განვითარების ჭრილში განიხილავს ინოვაციური კვლევის განხორციელების შესაძლებლობას და მოსალოდნელ ეფექტს. **უნარი** 2. იყენებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ თეორიულ ცოდნას და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას ორგანიზაციული მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევის და/ან ორგანიზაციული ლიდერობის პრობლემების კვლევისა და გადაწყვეტისათვის; 3. დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს (საჭიროების შესაბამისად, ზედამხედველობს) ორიგინალურ კვლევას რელევანტური მეთოდების გამოყენებით, სარწმუნო მონაცემებზე დაყრდნობით და უახლესი კონცეფციების/მოდელების კომპლექსური გააზრებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; 4. საკვლევს საკითხთან ან/და კვლევის პროცესთან დაკავშირებული ახალი, რთული, წინააღმდეგობრივი იდეებისა თუ მიდგომების, ასევე კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე, აყალიბებს ორიგინალურ დასკვნებს, შეიმუშავებს თეორიულ-პრაქტიკული ღირებულების რეკომენდაციებს საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის ახალი შესაძლებლობების თაობაზე; 5. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ორიგინალური კვლევის შედეგების საფუძველზე ქმნის პროდუქტს (საკონფერენციო მოხსენებას; სამეცნიერო პუბლიკაციას; სადისერტაციო ნაშრომს; სალექციო კურსს); ავითარებს ახალ იდეებს, ორიგინალურ მიგნებებსა და პრობლემის გადაწყვეტის ახლებურ, არასტანდარტულ/ინოვაციურ ხედვას; 6. ახდენს კვლევის შედეგების დემონსტრირებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე თემატურ დისკუსიებსა თუ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო პუბლიკაციების, კვლევით ჯგუფებში/პროექტებში თანამშრომლობის, სალექციო ფორმატში მიგნებებისა და ახალი ცოდნის გაზიარების, ან/და სხვა რელევანტური გზით. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 7. კვლევების წარმოებისა თუ შედეგების გასაჯაროვების/გამოქვეყნებისას იცავს სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს, პატივს სცემს კოლეგების შეფასებებს, განსხვავებულ მოსაზრებას, ოპონირებს აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით.
დასაქმების სფეროები	**პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:** **საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნირო და კვლევითი დაწესებულებები, ანალიტიკური კვლევითი ცენტრები, მენეჯმენტ კონსალტინგური კომპანიები, სახელმწიფო და კერძო სექტორის ანალიტიკური და კვლევითი დეპარტამენტები, კერძო კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები.**

პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III				
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრ	V სემესტრ	VI სემესტრ			
1.	SIWR 8111m	არ აქვს	კვლევის მეთოდები	2								
2.	TEME 8112m	არ აქვს	სწავლების მეთოდოლოგია	4								
3.	REDE 8121m	SIWR 8111m	კვლევის დიზაინი		6							
4.	SEM 8122m	არ აქვს	ორგანიზაციული თეორია	6								
5.	SEM 8113m	SEM 8122m	ორგანიზაციული ქცევა		6							
6.	SEM 6123m	SEM 8122m	ლიდერობა									
7.	REME 6114m	არ აქვს	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	6								
8.	REME 8214m	არ აქვს	ხარისხობრივი კვლევის მეთოდები		4							
9.	REME 6125m	REME 6114m	მრავალცვლადიან მონაცემთა ანალიზი		6							
10.	TEAS 8001m	TEME 8112m	სწავლება ასისტირება: სილაბუსი და კონცეფცია		2							
11.	TEAS 8002m	TEME 8112m, REDE 8121m	სწავლება - ასისტირება			6						
12.	TEAS 8003m	TEME 8112m, REDE 8121m	სწავლება-ასისტირება				6					
13.	REAS 8002m	REME 6114m REME 8214m REDE 8121m	კვლევითი ასისტირება									
14.	REAS 8001m	REME 6114m REME 8214m REDE 8121m	კვლევითი ასისტირება					6				
15.	DISS 6321m	ყველა საგანი და კონფერენციაში მონაწილეობა	დისერტაცია			X	X	X	X			
			ECTS კრედიტები	**სემესტრში**	**18**	**24**	**6**	**6**	**6**			
				წელიწადში	**42**		**12**		**6**			

შენიშვნა:
თუ სასწავლო ბადე რაიმე გამონაკლის ან დათქმას ითვალისწინებს, აისახება სიტყვიერი განმარტებით ამ გრაფაში.